ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5671097

ნომერი: AR1859004

თარიღი : 28.10.2021

გაცემის თარიღი : 04.11.2021

გაცნობის თარიღი : 04.11.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა, N 9, ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N11-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გელა კაპანაძე პ/ნ 01010003858
- ნუცუბიძის ქ. 203

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2021 წლის 28 ოქტომბრის №AR1859004 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021

წლის 28 ოქტომბერს №AR1859004 განცხადებით მომართა გელა კაპანაძემ და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 05 აგვისტოს №5535400 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 05 აგვისტოს №5535400 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა №9-ში, ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა №11-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:№01.19.36.001.522) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.ხოლო, სამსახურის 2021 წლის 16 აგვისტოს №5549734 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 16 აგვისტოდან 2022 წლის 16 აპრილის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 05 აგვისტოს №5535400 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 4375.1 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 4375.0 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 1241.2კვ.მ-ის ნაცვლად 1268.9 კვ.მ, შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 05 აგვისტოს №5535400 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე დატანილი საზაფხულო ფართობების ჯამური მაჩვენებელი და მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირებული ამავე ფუნქციის ფართობის მაჩვენებელი ერთმანეთთან შეუსაბამოა. ამასთან, საცხოვრებელი და საზაფხულო ფართობების ცვლილება გამოიწვევს საერთო ფართობის ცვლილებასაც. გარდა ამისა, საცხოვრებელ ფართობში ნაწილობრივ შეყვანილია კოლონების და გამყოფი კედლების ფართობები. აღნიშნული ფართობები ამოღებულ უნდა იქნას საცხოვრებელი ფართობიდან.
აქვე განგიმარტავთ, რომ სამყოფისათვის ფართობი განისაზღვრება მის შემომსაზღვრელ კედლებს შორის არსებული იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობით, მათ შორის არსებული საყრდენი კედლებისა და კოლონების ფართობის გარეშე (ბინის ფართობში არ იანგარიშება ასევე საყრდენ კედლებში და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებული ღიობები, ბინაში არსებული იატაკის სხვადასხვა დონეების დამაკავშირებელი შიდა კიბე და მისი ბაქანი).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად,
ვბრძანებ:
1. დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში:
1.1. დააზუსტოს მოთხოვნა საცხოვრებელ, საზაფხულო და საერთო ფართობებთან დაკავშირებით.
1.2. წარმოადგინოს სამსახურის 2021 წლის 05 აგვისტოს №5535400 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები (გეგმარების შეცვლის გარეშე), შესწორებული ფართობების დატანით.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2021 წლის 28 ოქტომბრის №AR1859004 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.